



# ნანახი

№ 24 1985



ნახ. მ. აბაშიძისა

— მარტო მე როლი მოვლივარს..

# საკვილეო გამოყენა



ნახ. ზ. ლეისაძისა

ამ ახალ წელს აქედანვე სასიკეთო პირი უჩანს, —  
ბრწყინავს ჩვენი დიდი ქვეყნის სამშვიდობო ზეცა ლურჯად!  
გადიბარა საქმეები — დრო სწრაფმკერში ჩაახვია,  
წუთისოფელს ცალი ყური ერთხელ კიდევ აახია!  
სახალწლო სურჯინი აქვს ძველქართულად დასაბურტყი,  
ალბათ გვეტყვის თავის სათქმელს, ჩვენ, ცხადია, ჩვენსას ვეტყვიო!  
რაკი ყველგან დღეს იხსნება სურვილების გამოფენა,  
უადგილოდ არ გეჩვენოთ ჩემი ლექსის წამოფრენა!  
ვინ წინა და ვინ უკანა! — წილი, აბა, რისთვის ვყაროთ?  
გამოფენის დარბაზები, მოდიოთ, ერთად დავიაროთ!  
გვიმეგზუროს! — გიღს — ახალ წელს — ასე გადაუწყვეტია,  
დიდ დარბაზში, სადაც უკვე მეთორმეტე ხუთწლეულია!  
სადაც რობოტ-ტექნიკაა, სადაც მხოლოდ პროგრესია,  
კითხვებიც და პასუხებიც ჩვენ სწორედ იქ მოგვესია.  
რა პროგრამა! რა ნატკომი! თვისებრივი ირგვლივ ძვრები!  
პანორამა ისეთია, უყურებ და ვერა ძღვები!  
ვის არგია ან მკითხავი, ან წყალობა ზეციური?! —  
ამ დარბაზში სურვილებს პვენს სწავლული და მეცნიერი!..  
განა სიო სიანლეთა სულ გრიგალა ქარებია?  
კოსმოსს (ამის შემხედვარეს!) გული გადაქანებია!  
აქ ვერება ფუძე მერმისს, აქ ვუდგებით ზარმაცს ჯიბრში,  
კუს ნაბიჯი ვიღას უნდა?! გადაჯიშდა მაგის ჯიში!  
თავპატივი არ დაიწყეთ, აქეთ უნდა ვეპატიყოთ! !  
პა, ხარისხის დარბაზები, დარბაზები საპრესტიჟო!  
გიდი მალე სამერმისო გეგმებშიაც შეგვიძლება,  
რა გგონიათ? — ნარჩენებით თავის რჩენაც შეიძლება!  
რა შუქია, — კედლიდან რომ გამოასხივ-გაანათა,  
ამ დარბაზში პორტრეტები ჩამოიქნა ალამდართა.  
რაც ქვეყანას აღუღაბებს, სულს რაც უღვამს, სულ აქაა! —  
სიკეთეა! ნამუსია! ღირსებაა! ბარაქაა!  
სხვა სიბლი და სხვა მადლი აქვს აქ გაბნეულ სიტყვა-სიცილს!  
დროს უსწრებენ! დროის ყადრი მათზე უკეთ არგინ იცის!  
ვის სჭირდება ან ქაქანი, ან ქალღლი ფარატინა?!  
ნაისპირტა ლოთის ტვინი (თუკი ითქმის ისევ ტვინად!).  
მინც ცოხნოს? დელიკატესს მიირთმევდეს მინც „იკრას“?  
თუ ხელი არ გამოიღო, თუ საქმეზე ფეხი გვიკარა?!  
ჰამა-ჰამით ჰაობისკენ თუ დაქანდა, გადაგვარდა,  
ვინ აიტანს, რა ეყოფა უშრომელი კაცის მადას?!  
კვლავ მზიანობს სამზიანო, სამშვიდობო ჩვენი ფესვი!  
უკეთესი ცხოვრებისთვის შრომაც, გარჯაც — უკეთესი!  
რა ფერებით გვეფერება, რა უღმერთოდ ლამაზია —  
სასწაულად საცნაური — საქართველოს დარბაზია!  
გადასცქერის ახალ ხუთწლედს — ახალ ზღუდე-გადასახედს  
და ამოკვეთს, როგორც უწინ, თავის ხელით თავის სახელს!  
შეუკაზმით საქართველოს! — რწმენის რაში სხვა რაშია!  
წარსულიდან მომავლისკენ მიდის დათა თუთაშინა!  
თქვენს სიკეთეს შესთხოვს გამჩენს, — განა ეჭვობს,  
სურვილებს კვლავ მყარად უღვას დედაუნა დედაბოძად!  
საეროსთვის! საქვეყნოსთვის! შენჩემობა აღარ იყოს!  
მწარეც ტკბილად დავგიბერდეს, გოზინაყად ჩამტკბარიყოს!

ზაზა კაციანაშვილი



— მომაქვს მშრომელი კაცის გახარება, პატიოსნება,  
სიკეთე!..  
— ეგენი მე არ მჭირდება, აგერ გვერდით კარზე და-  
რეკე!

ნახ. ზ. პაბრიაშვილისა



— წაიყვანე! ამის ფეხი აღარ ვნახო ოთხმოცდა-  
ექვსში!

**აარილუი** გამოქაზებული სანტე-  
ქნიოსი, ცოტა მოგვიანებით, 31 დეკემ-  
ბერს მომადგა კარზე.

— მაპატიეთ, ბატონო, ცოტა შემაგვიან-  
და! რა ვქნა, ამხელა ობიექტზე მარტო  
ვარ, ვედარ ავუდივარ საქმეებს!..

— აქეთ მობრძანდით, ბატონო! — ვუთ-  
ხარი და საბაზანოს კარი შევუღე. — აბა-  
ზანიდან ისეთი ჩხრიალი ისმოდა, ძლივს  
გამავონა სანტექნიკოსმა: — ბატონო, მე  
ცხელი წყლის სპეციალისტი ვარ, ცივს ვერ  
შევაკეთებ! — გადამაქო მდღლარე.

— შენი ჭირიმე, ამ სახალწლოდ ნუ წა-  
მისდენ ხასიათს და, რაც ღირს, გადავიხს-  
ნი!

სანტექნიკოსი მოლბა.

— სინათლე საიდან ინთება?!

— სინათლე მაღე იქნება, ბატონო! აქ  
სადღაც რაღაც მოიშალა და მონტიორი  
მყავს გამოქაზებული. სანამ მონტიორი  
მოვა, ჩვენ თითო დავილოცოთ, თორემ  
გავცვივდებით! მეორე წელი გვიპირდებიან,  
გათბობას ჩავგირთავთ, მაგრამ ჯერ არ  
უჩანს პირი! — ხანთელს მოუვიდე და შან-  
დალი მაგიდაზე დადგი.

სანტექნიკოსმა პალტოს ღილები შეიკრა  
და ტკბილეულით გაწყობილ მაგიდას მიუ-  
ჯდა. სირჩები ჭაჭის არაყით შევავსე.

— სიმწარე გვაშოროს, სიტყბო მოგვცეს  
ღმერთმა! — თქვა და გადახუნა.

— კარგად ვიყოთ! — ვთქვი და მეც გადა-  
ხუნე.

— ორი სახარება შეგვეწიოს, მესამე თავზე  
დაგვტრიალებდეს! — თქვა და დაშაქრული  
მარწყვივით გადაყლბა.

— შეგვეწიოს!.. — გადავკარი მეც.

მესამე სახარება ახალი ნათქვამი გვექონდა,  
მონტიორი და ახალი წელი ერთად რომ  
შემობრძანდნენ ჩემს ოჯახში.



**წივლა**

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — ადგა და  
ხელები გაშალა სანტექნიკოსმა.

— გაგიმარჯოთ, მრავალ ახალ წელს და-  
ესწართ, ასე ტკბილად დამიბერდით! —  
თქვა და თითო კოწახურის კანფეტი დაგ-  
ვირიგა. — დაგვიანებისათვის ბოდიშს ვინ-  
დი, რა ვქნა, დილიდან ლიფტში ვარ გა-  
ჭედილი! ისე მომშივდა, საიზოლაციო  
ლენტი შევჭამე!..



— კანფეტი გეჭამა, შე ოჯახაშენებულო?!

— არ მიყვარს კოწახურის კანფეტი, მუ-  
ვეა!

მესამე სახარებაც რომ გადაიბრძანა  
ხახაში, მონტიორი ადგა და იარაღების  
ჩემოდანი გახსნა.

— არა, არა, უორაჯან, არ ვინდა! — ჩა-  
ფრინდა სანტექნიკოსი, — ჯერ ერთი რომ,  
შენ ახლა მონტიორი კი არა, მეკვლე ხარ,  
მეორეც ის, რომ ნასვამი ხარ და შეიძ-  
ლება დენმა დაგარტყას, მესამე კიდევ ისა,  
რომ სანთლის შუქზე პურის ჭამას რა ჯო-  
ბია!

— ამ ჭიქით ჭერს გაუმარჯოს! — თქვა  
სანტექნიკოსმა და ჭერს ახედა, — და, აი,

იმ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, ჩვენ  
რომ დაგვანათის თავზე!

— გაუმარჯოს! — თქვა მონტიორმა და  
დიდი დივანის თანავარსკვლავებს ახედა,  
ვა! ეს ამბავი სასლმმართველობაში იცინა?!

— იცინა!  
— პაზორ!

ქვიფი ეშხში შევიდა. თითოც რომ დავ-  
ლიეთ, მაგნიტოფონი ჩავრთე და მთელ ბი-  
ნაში დუდუკის საამო ჰანგები დაიდგარა:

**ზამთრის ყინვა არ მაშინებს,  
შენ რომ გხედავ, მაშინ მცივა!..**

ღიღინებდა მედოლე.

**მე ჭამა-სმა არ მაკლია,  
შენი სიყვარული მშია!..**

აპყვა სანტექნიკოსი და ჩემს მეუღლეს  
გაუღიმა. ამ სიმღერას „ვარსკვლავიანსა  
ღამეს“ რომ მოჰყვა, მონტიორს გული ამო-  
უჯდა, პალტოს სახელოთი ცრემლი შეიმშ-  
რალა და მითხრა:

პატივცემულოჯან, ჩვენმა წინაპრებმა არც  
იცოდნენ, რა იყო ელექტრონი, ცენტრალუ-  
რი გათბობა და ლიფტი, მაგრამ ჩვენზე  
ჯანმრთელებიც იყვნენ და მტრ ხანსაც ცოც-  
ხლობდნენ! თუ ვინდათ, რომ, აი, ეს რა-  
მანტიკა, ეს სუფთა ჰაერი, სიგრილე (შეა-  
ჭროლა და პალტოს საყელო აიკეცა),  
წყლის სასიამოვნო ჩხრიალი, რომელიც  
ნერვებს აწყნარებს, მუდმივად იყოს თქვენს  
ბინაში, ნურაფერს ნუ შეაკეთებინებთ! ასე  
ჯობია!

ხელოსნებმა თითოც დალიეს, ჩემოდნები  
აიღეს და კიბეებს ბანცალ-ბანცალით დაუყ-  
ვენენ...

ისე ყველაფერი კეთილად აგისრულდეთ,  
როგორც მე ამისრულდა ხელოსნე-  
ბის სახალწლო სურვილები: მას შემ-  
დეგ ჩემს ოჯახში ხელოსანი არ გაჭაჭა-  
ნებულა! ვცხოვრობთ ბედნიერად, დაწყნარე-  
ბულად! ისე გაუკაჟდით ყველანი, პოლი-  
კლინიკისა და აფთიაქის გზა დაგვავიწყ-  
და! სამაგიეროდ, ის ახალი წლის ღამეა  
დაუვიწყარი ჩემთვის და ჩემი ოჯახის წევ-  
რებისათვის!..

მოგვბაძეთ ჩვენ!

**ნიკოლოზ იოსელიანი**


ნან. ბ. ლომიძისა



გყუინ



ღღენ



ხვალ



ნ. ა. ისინიანი

უსიტყვოდ

**ვის რას ვუსუკუბავთ სახალწლოდ**

- ლოთებს — ლოთობაზე აელოთ ხელი და არა — საკუთარ თავზე!
- დახლის ზოგ მუშაკს — მხოლოდ საქონლით ევაჭროთ!
- გამოსაფხიზლებელში მოხვედრილთ — საბოლოოდ გამოფხიზლებულიყვნენ!
- თათბირომანებს — ზოგჯერ საკუთარ თავებსაც მოთათბირებოდნენ!
- ინტრიგის მოყვარულებს — კირკიტი კრიტიკით შეეცვალოთ!
- კარჩაკეტილებს — ახალი წლისთვის მაინც გაელოთ კარები!
- წერის მანიით შეპყრობილებს — წერტილი არ დაეციებოდეთ!
- ვაი-შემწყნარებლებს — ახსოვდეთ, რომ შეუწყნარებელ დანაშაულს სჩადიან!
- ზოგ მკურნალს — პირველ რიგში საკუთარი თავი განეკურნოს!
- შრომის დამკვრელებს — ჩამორჩენილებისთვისაც დაეკრათ!
- ტყეს — ოთხფეხა ნადირის მატებასა და ორფეხა ნადირის კლებას.
- ვაჭრობის ზოგ მუშაკს — მაღაზია საწყობად არ გადაექციოთ და საწყობი — მაღაზიად!
- პროტექტორებს — ახსოვდეთ, რომ ვისაც შევლიან, სწორედ მათ ლუპავენ!
- ყბედებს — უსაქმო სიტყვას უსიტყვო საქმე არჩიონ!
- თავზედებს — სხვებიც დაენახოთ!
- სუბიექტივისტებს — ობიექტურობას!
- უქნარებს — იმდენი სიმამაცე გამოეჩინოთ, რომ სიზარმაცე დაედლიოთ!
- ჭორიკანებს — სიმუნჯეს!
- ობივატელებს — ობი ადარ მოჰკიდებოდეთ!
- თვითკმაყოფილებს — უკმარობის განცდას!
- ამაღლების მოყვარულებს — სიმაღლის შიშს!

ალეანზორ თაყაი

ცისკენ მიფრინავს თოვლივით  
 ბავშვთა ღიმილის ნახტომი!  
 რას ვნატრობ? — იმას, რასაც თქვენ:  
 რომ არ აფეთქდეს ატომი!

თოვლივით დადნეს ის ჯარითი,  
 მსოფლიოს წაღებს რაცა შტრომბს!  
 რაკეტა, ღრუბლებს რომ ესერი,  
 დაბლა ცვივოდეს საზამთროდ!

ვისართოთ ოთხმოცდაექვსში  
 ზეცის სილურჯე-სითეთრით!  
 იყოს მშვიდობის ვმბლემად  
 ოჯახში ჩვენი სიდედრიც!

ვერ ბოვინობდეს სორცმეტი,  
 რომელიც წელში მოვხარეთ!  
 ვინატროთ: შტერი სამშობლოს  
 არ ითვლებოდეს მოყვარედ!

ჩვენს სტადიონზე ამა წელს  
 არ იყო მისვლა ადვილი!..  
 მწვრთნელი შეუცვალოთ, ცხრილში კი  
 უსვლელი დაგვრჩა ადვილი!..

ფესბურთულეებმა, რატომაც,  
 ვერ ითამაშეს თავითა  
 და, რაც სხვის კარში დაარტყეს,  
 ყველა ჩვენი კარში გავიდა!

ისევ პატამ გვიშველა,  
 ოთხმოცდაექვსშიც „გვაწვალოს“,  
 სულ ასე გვაბარბოტონოს,  
 სულ ასე გავგალახკალოს!

ნამგლიან მეჩაიეებს,  
 რომ გეწვავენ დარდის სიცხეში, —  
 ვთხოვ მოჭრილ ჩაის ღვროებს  
 ნუ გაგვიჩხვრენ კისერში!

გულია გულის მკურნალი,  
 წამალზე მეტად გული გვრგებს!  
 ქვეყნად სიკეთემ იმრავლოს,  
 შური შეცვალოს შურიგემ!

მუდამ ვათბობდეს, სამშობლოვ,  
 კაცთა გულების აღმური!  
 თოვლივით სუფთა გვენახოს  
 მარადეაშს ჩვენი მამული!

ჯეჰალ კვერენსილაქა

**სხარტულევი**

- **ბავშვის** ჰკითხეს: ახალი წლის დღესასწაული უფრო ადრე დაარსდა, თუ თოვლის პაპის ტრადიციაო და — საახალწლო საჩუქრებიო!
- **ბავშვი** კითხულობს: თოვლის პაპა რომ ავად ვახდეს, არც მამინ გამოუშვებენ თოვლის ბებიას ახალი წლის მოსალოცადო?

გივი ჯედელაშვილი


ჭერ კიდევ ბევრნი არიან ისეთნი, ნდობას რომ არ იწვევენ, ეწვიან მხოლოდ ქონების დაგროვებას, მომხვეჭელობას, პროტექციონიზმს, გამომძალველობას ავტორიტასებზე, მექრთამეობას.

გაზეთებიდან



ნახ. ბ. ლომიძის

— რა დაგემართათ, ბავშვებო?! ეს თქვენი თოვლის ბაბუა არ არის!..



ნახ. შ. აბაშიძის

— მამი! თოვლის ბაბუა ვარ, საჩუქრები მომაქვსო!..  
— უთხარი, უკვე იყო ერთი თოვლის ბაბუა-თქო!

**წელი ახალი!**

შენს მობრძანებას დავლოცავ პატარა ჭიქით, დაცლამდე, რადგან მოდიდან გავიდა თავის განწირვა უანწამდე!

გუშინდლის ნაკლს და შეცდომას ჩავლილ მდინარეს ატანდი! კარგ წამოწყებას, დღევანდელს, ხვალ წარმატებით მართავდი!

ქართველი დედა დალოცე, შვილი ბუკოლოდეს ათამდე!  
წელი ახალი, მოგვეცი, რაიც არ გვქონდა აქამდე!

ლილი აბზიანიძე

**იუმორისკა**

**იმასთან** დაკავშირებით, რომ ბოლო დროს ზოგიერთი გვარის თავდაპირველი შინაარსი ძალზე ჩამორჩა, რაც შემთხვევაში დაუპირისპირდა კიდევაც სინამდვილეს, ფორმასა და შინაარსს შორის სრული შესაბამისობის დასამყარებლად საჭიროდ მიმანია ამა წლის 1 იანვრიდან შეცვლილი იქნეს შემდეგი გვარები:

- ალიზიშვილი — ბეტონიქედ;
- არაყიშვილი — მაჭარაშვილად;
- არევაძე — შოშიანიქედ;
- ართილაყვა — ჟირილაყვად;
- ბალამწარაშვილი — ალუბალაშვილად;
- ბერიშვილი — ჭაბუკიანად;
- ბობოხია — თავაზიშვილად;
- ბუზალაძე — ფუტკარაქედ;
- გაუხარაშვილი — ლალიაშვილად;
- გაფრინდაშვილი — დარჩიაშვილად;
- გეჯაძე — ხონჩაქედ;
- გომურაშვილი — ქარვასლიქედ;
- გონჯაძე — მშვენიერაქედ;
- გოჯაძე — მალალაშვილად;
- დაუშვილი — შამათაყად;
- დეკანოზიძე — დეკანიქედ;
- დოროვი — უმოვად;
- ეკალაძე — ვარდიაშვილად;
- ერისთავი — ერაძედ;
- ვარამაშვილი — ვაშაძედ;
- ვოლკოვა — ბარანოვად;
- კალაძე — ოქრუაშვილად;
- კვაჭაძე — გერგილაძედ;
- კომაროვი — ბაბოჩიანად;
- კუჭავა — გულიად;
- ლუდიძე — მურაბიქედ;
- მარტაშვილი — მაისაშვილად;
- მგელაძე — ირემაძედ;
- მთვრალაშვილი — ფნიზელაშვილად;
- მინდაძე — გვინდაძედ;
- მოწყობილი — ჩარიცხულად;
- მსუქნიშვილი — წერწეტაძედ;
- მუნჯაძე — ქადაგიქედ;
- მძინარაძე — ცქვიტინიქედ;
- მწარიაშვილი — შაქარიშვილად;
- ნადირაძე — თიკანაძედ;
- ნემსაძე — მასათაძედ;
- ომიაძე — მშვიდობაძედ;
- პაიკიძე — ლაზიერაშვილად;
- ჟამიერაშვილი — მრავალჟამიერაშვილად;
- რაქიაშვილი — ცნობილაძედ;
- რუსაძე — თეთრაძედ;
- სირბილაძე — ჯანიქედ;
- ტალახაძე — ბროლაძედ;
- უნდილაძე — ხერხაძედ;
- უშერიძე — ალერსიქედ;
- ფარულავა — ცხადაიად;
- ფიცხელაური — დარბაისელად;
- ქაფიანიძე — ჯაფიაშვილად;
- ქაჩალიშვილი — ქოჩორაძედ;
- ქეძაძე — კირკიტაძედ;
- ღარიბაშვილი — ბარაქაშვილად;
- ღვინიაშვილი — წვენიაშვილად;
- ყავრიშვილი — შიფერიშვილად;
- ყვავაძე — მგალობლიშვილად;
- ყორანაშვილი — მიმინოშვილად;
- შარაფიძე — შარბათიქედ;
- შიმშილაშვილი — მაძღარაშვილად;
- შავეგულიძე — გულისაშვილად;
- შიშიაშვილი — უშიშარაიქედ;
- შოგნაძე — შრომაძედ;
- შუღლიაშვილი — ხათრიქედ;
- ჩანჩალაძე — წინამძღვრიშვილად;
- ჩირაძე — ჯემაძედ;
- ჩოჩია — ფაცურიად;
- ცალქალამანიძე — ბოტასიქედ;
- ცივაძე — ცეცხლაძედ;
- ცოტაძე — დიდიქედ;
- ძველია — ახალიად;
- ძულიაშვილი — საყვარელიქედ;
- წანწალაშვილი — დგომელაშვილად;
- წაქაძე — არაფანიქედ;
- ჭრიაშვილი — დულუნაშვილად;
- ჭურაძე — წიგნაძედ;
- ხამია — არხამიად;
- ხელაძე — მშვიდაძედ;
- ხუჭუა — ჭყეტიად;
- ჯავრიშვილი — სიხარულიქედ;
- ჯანჯალია — ხვანცალიად.
- სია არასრულაა და შეიძლება მისი განვრცობა ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად.

კაცონალიზაციული  
აკოლონ გაიქვდა



ანტიოდევისგან ინტერვიუს აღება  
სისხლის ვაღებაზე ძნელია,  
მაგრამ ახლა ყველაფერი ადვილდება, —  
ხვალე სომ ახალი წელია?!

შევხვდით, შევეხვებო, მივულოცე  
და მეც შეგობრულად მომილოცეს,  
გაგანარეს კეთილი სურვილებით  
და გულანდილობით გამოაცხადეს!

ინტერვიუ ვომხვავებთან

— რა გინდა, რა გსურს, რას ფიქრობ  
და რას აპირებ ახალ წელს?  
— სანამდე სასამართლოში  
გამომიტანდნენ განაჩენს,



თვით ვისამართლებ ჩემს თავსა,  
სასჯელსაც მევე ვაკისრებ,  
ვით გაწმენდილი ცოდვილი,  
ახალი წლის წინ ვარ ისე.  
დავრწმუნდი: ლტოლვამ ფულისკენ  
გამაგიჟა და დამცოფა,  
დამაკარგვინა სინდისი,  
დამაკარგვინა კაცობა!..  
უძირო ქვევრად ვიქმეცი,  
ვივსე და ველარ ავივსე,  
ფულის თელასა და ხვეჭაში  
წლები წავიდა წამისებრ.  
რაც შიში ვკვამე აქამდე,  
საზღაპროდ საამბობია,

შესავალი  
ინტერვიუ

სულ მუდამ ციხის მოლოდინს  
ცობა ვიკმარო, სჯობია!

— მეც ვე მინდოდა მეთქვა,  
შენ გაგანაროს ღმერთმა!

ინტერვიუ კორვაჭართან

— ახალ წელს ვხვდებით, დღეა ნათელი,  
ძველ წელიწადზე რა გაქვს სათქმელი?  
— სწორი რომ გითხრა, ცოდვა მაქვს დიდი,  
შინ არაყს ვზდიდი, სამშაგად ვყიდდი.  
ვზდიდი და ვყიდდი, ვყიდდი და ვზდიდი,  
ფასს მაღალს ვზდიდი, მყიდველს სულს  
ვზდიდი.

არ მქონდა შიში, არ მქონდა რიდი,  
ჩემს თავს ვეძახდი: „მიდი და მიდი!“  
არად ვავდებდი აუგს და ძრახვას.  
— ახლა რას ფიქრობ, რას გვეტყვი ახალს?  
— თუმც ჩემთვის არის ძალიან ძნელი,



მსურს, ვაჭრობაზე ავიღო ხელი!  
თორემ ამინდი დადგა ისეთი,  
მომენატრება ალბათ მზისეთი!

— მეც ვე მინდოდა მეთქვა,  
შენ გაგანაროს ღმერთმა!

— შენს წარსულზე მითხარ რამე,  
როგორ შეაფასებ წარსულს?  
— წარსულს ნულარ გვეტყვი, ირითაც  
მასზე საუბარი არ მსურს!  
ბევრჯერ შევდექე ბეწვის სიღზე,  
საემშაკოდ სული ვხარჯე,  
მავენი კომბინაციებით  
არაერთხელ გავიმარჯვე.




ცულ საქმეში გამარჯვება  
დამარცხების ტოლფასია,  
ზოგჯერ ბედმა მიშაგებდა,  
კონტროლები მომასია.  
შიშის ზაფრამ ამიტანა,  
წუთი მექცა საუკუნედ,  
ხალხს ბოროტად რაც წავგლიჯე,  
რევიზორებს დავუბრუნე.  
გადავწვიტე: ახალ წლიდან  
რომ ვიცხოვრო ახლებურად,  
თორემ ჩემისთანებისთვის  
ბევრი მახე დაგებულა!..

— მეც ვე მინდოდა მეთქვა,  
შენ გაგანაროს ღმერთმა!

ნოდარ შამანაძე

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



ნ. ბ. კუციანის

— მართალია, წელს ყველანი ფხიზლად ხვდებიან ახალ წელს,  
მაგრამ თქვენ მაინც ფხიზლად იყავით!



# გაკეთა ესა ლელს ბუფროსოთ!

## კერძომესაპუტრის მონოლოგი

მართალია, მე თვითონ ვარ უფროსი, მგარამ ცხოვრება ისეა აწყობილი, რომ, როგორც მჭობის მჭობი, ასევე უფროსის უფროსიც არ დაიღვეა.

ჰოდა, ახალ წელს გილოცავთ, უფროსებო, თანაც ძაან სერიოზულად — ელჩების დონეზე, თანაც ისეთი ელჩებისა, რომლებიც თავიანთი ზომა-წონითა, ტარა-ბრუტო-ნეტოთი, შენორცებისა და გემოს ხარისხით თქვენს დონეს რომ შეეფერება! თანაც, ბაიარა-მობის ყველა წესის გათვალისწინებით, ისიც კაცურად გამოსაზღვრავს, თუ რომელი ელჩი რომელი უფროსის კარზე უნდა გამოცხადდეს, რა ტრანსპორტითა და რა წარმომადგენლობითა, ვის სუფრაზე უნდა ჩაიმუხლოს მთელად შემწვარი შვლის ნუკრმა თუ ძროხის ხბომ, ან რომელი უფროსის ხორაგულის შუაგულში წამოგორდეს შემბრაწული გოჭი, ან სად გადაითხოვოს ფუთიანი ინდაური, ვის ანდრო თავიანთი მოვლილი ქონგადაკრული თავები დედლებმა, ყვერულებმა, ყვინჩილებმა, ვარიკებმა, სხვებმა და სხვებმა!

ჩემი ნაცადი ელჩები, რომლებიც ყოველ რვა მარტს, შვიდ ნოემბერს, პირველ მაისსა და ოცდათერთმეტ დეკემბერს პუნქტუალურად ცხადდებიან ჩემი მოწყალე უფროსების სასახლეთა კარზე, დაბლომატიური ხელშეუხებლობით სარგებლობენ, ისინი თვალდასუბუქებით აგნებენ საკირო კარს, მარჯვედ არგებენ გასაღებს ყველაზე დოღრიდალ უფროსების გულის კლიტებსაც. ჩემს მრავალწლიან პრაქტიკაში არ მოიძებნება თუნდაც ერთი შემთხვევა, რომ რომელიმე ელჩი უკან გამოებრუნებინოს!

ამას აქვს თავისი ახსნა: მე თვითონ ისეთ ოჯახში დავიბადე და აღვიზარდე, სადაც კარგად ესმოდათ უდიპლომა დიპლომატიის, ანუ ძღვენიური მოძღვრების ფასი. ბავშვობიდანვე ვხედავდი, ელჩების დონეზე უფროსებთან ურთიერთობის წყალობით, როგორ გასუქდა ჩემი ნეტარსხენებული მამა, როგორ გადმოშვდა დიბი და რა საყვარლად დაივიდა ნიკაპზე სოლიდური დაბაბი და როგორ აივსო ჭიბები ტაქცინა-თახახიანებითა... რომ წამოვიზარდე, ჯერ შავი „ვოლგა“, მერე შავი ქალაღი მიყიდა. ეს იმისთვის, რომ ჯარში არავის წავეყვანე. შავი ქალაღი იმის საბუთი იყო, ვითომ დარეხვილ-დაცენტრილი ვიყავი. მერე კი, როცა ინსტიტუტში აღვიღე

მიყიდეს, ამ შავი ქალაღის დაშინაზი და წამკითხავი აღარავინ აღმოჩნდა, ყველას თვალები ესუქა!

მაშინ უცბად ვერ მივხვდი, რატომ ხუტავდნენ თვალმცხმეგნა, რამე სენი შეეყარათ-მეთქი. ახლა, როცა გამობრძნედილი კაცია ვარ, ხუთი სახლის, ოთხი მანქანისა და სამი აგარაკის პატრონი, გულიანად შეცილება ჩემს მაშინდელ მიაშობაზე. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, თანდაყოლილი ნიჭის წყალობით, მალე ჩავუხვდი თვალის დასუქვის სიკეთესა.

ამჟამად ყველა გონიერი კაცი ხვდება, თუ ჩემი ელჩები რატომ ცხადდებიან თვალდასუბუქებით ჩემი უფროსების სასახლეთა კარზე. ამით მე დიპლომატიურად ვარქმობინებ, რომ მათაც თვალები დასუქონ და უზერსულობა არ მაგრძნობინონ, როცა რომელიმე დევი იღეთით პრავ ეფექტს ვიწვევ...  
დღეს ოცდათერთმეტი დეკემბერია და მე ტრადიციულად ვისტუმრებ ელჩებს და თანაც ვღელავ, თუმცა ვიცი, რომ ყოველი მათგანი თვალდასუბუქული მიაგნებს იმ სადარბაზოს, საითაც არის განწესებული და ამასთან უმწიკვლოდ დაიცავს დიპლომატიურ ეტიკას — თან ექნება ჩემგან ბოძებული სათანადო რწმუნებანი. ყოველ ელჩს, ექნება ეს მთელად შემბრაწული შვლის ნუკრი თუ ძროხის ხბო, შემწვარი გოჭი, ბატკანი თუ ინდაური, თან ექნება პა... სპირტი, დამოწმებული ხუთ-ხუთი ვარსკვლავითა და სხვა აარალიყებით, პუ... რადობის მოწმობა, გადაღებული ფულის დასტითა და ხორაგულის სავესე კალათებით ხელში.

ვაგზავნი მათ და უფრო მეტი მღელვარებით ველოდები ვიზიტების გაცვლას, ვიცი, გაივლის დრო და აქვთ მომადგებიან კარზე ჩემი მაღლიერი უფროსების გამოგზავნილი ბრუტიანი რევიზორები, თვალზე ბისტგადაკრული ინსპექტორები და ელაბრუცა კონტროლიორები, მოვლენ და ყასილად დამიწყებენ შემოწმებას, მერე ყოველივე შავს თეთრად დაინახავენ, შემაქებენ და წავლენ. ან კი რა უნდა, დაინახონ შავი, — ის ქალაღი, აღრე რო შქონდა, რამი დენი ხანია დავხეი, იმიტომ, რომ ამხელა გაბარტიან კაცს ჯარში ვილა წამიყვანს?! სხვა თუ არაფერი, ჩემი ზომის ტანსაცმელ-ფეხსაცმელს სად იწვიან?!  
ერთი სიტყვით, მრავალ ახალ წელს დაესწარიო და სულ ასე გეუფროსოთ, ჩემო მწყალობლებო! გაუმარჯოს ელჩების დონეზე დამყარებულ ჩვენს ურთიერთობას, რომლის გამოისობით ასე გაფუფუნებული და გაფუფუნ-გაღვივებული ნებივრობს ჩემი მრავალხართულიან-მრავალსახლიან-მრავალმანქანიანი ოჯახი! თქვენი თავი მიცოცხლოს და თქვენი იმედი ნუ მომიშალოს ღმერთმა! გეხვევით და გულში გიკრავთ (რა თქმა უნდა, დაბლომატიურად!) სიკვდილამდე თქვენი ყურუხმად ციკინსურაშვილი.

უპრუშხალ ციკინსურაშვილის უპრადსალაღი მონოლოგი მცირემოდანი ზამოკლებით ჩაიწერა  
ელგუჯა მერაბიშვილი

## ახალ წელს კკითხვას...

- დანაზოგები როგორ გავზარდოთ და — დანაკარგები შევამციროთ!
- კომბინატორებს რას უსურვებდით და — ახსოვდეთ, რაც „აბედნიერებთ“, სწორედ ის აუბედურებთ!
- თვალსუჭობანას როგორ ვებრძოლოთ და — ისევ ბავშვებს გადავულოცოთ!
- ეფექტიანობა როგორ ავამაღლოთ და — დეფექტიანობას ვებრძოლოთ!
- გაურჯელი როგორ გავსარჯოთ და — შრომის მაღლი ვავარძნობინოთ!
- ბოროტებას კარი როგორ ჩვეუკეტოთ და — კარჩაკეტილობას ვებრძოლოთ!
- პატივმოყვარეებს რა მოვუხერხოთ და — ვაიძულოთ, პირადი ღირსების გრძნობა საკუთარ ღირებულებას შეუფარდონ!
- არაჯანსაღ მოვლენებს როგორ ვებრძოლოთ და — ჯანსაღი კრიტიკით!
- კერძომესაპუტრეებს რას უსურვებდით და — საკუთარი თავები დაესაკუთრებინოთ!

ალ. გურული

## ოთხმოცდაექვსში ბისურვებით!

ოთხმოცდაექვსში გისურვებთ იმ მრავალთაგან მხოლოდ ერთს: გქონოდეთ მზე და მშვიდობა და სიხარული გქონოდეთ! ახალი წელი, დე, იყოს ფხივლი, სვედნიერი, ჩაით და ტბილი წვენებით ილხენდეს ამერ-იმერი! ბოლო მოეღოს ლოთობას და უთავბოლო ღრებობას! (თუმც შემახსენა დღეს ცოლმა, რომ არის მისი დღეობა!) გათბობის ყველა მუშაკი აღარ გადაყვეს გათრობას, ზამთარში აუცილებლად გვექონდეს ბინებში, გათბობა! ჯანმრთელად ვიყოთ, სულ მუდამ გვექონდეს ხელფასის იმედი და ჩვენს „ლეკს“ არ შეჰყურებდნენ ცოლი, შვილი და სიდედრი!.. ღმერთმა გვაშოროს დაბოღვა, სასუ სულ გვექონდეს მლიმარი, ხშირად გვესტუმრონ ოჯახში ცოლისძმა, სიდედრ-სიმამრი!.. გთხოვთ მეველება დაასწროთ თქვენს უახლოეს მეზობელს, იმდენი გეცინ-გეზუმროთ, შეჰყურებოდეს უზომეს! შვილებს ამ ოთხმოცდაექვსში აღარ ესწავლოთ უგულოდ, სასწავლებლებში მოწყობა იყოს უბოლოდ, უფულოდ! მოისპოს სპეკულანტობა და მოტყუება კაცისა! (ბოლოს და ბოლოს, შვილნი ვართ ამ მიწისა და ამ ცისა!) ახალი წელი მშობლებსაც, გთხოვთ, მიულოცოთ მოწაწისით, გზა რომ გაიგნოთ იმათკენ, თან იქონიეთ კომპასი!

ივანე ოსაფიშვილი





ლეონიდ სუსორუკოვი  
(უკრაინა)

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

წიგნი

ღმერთო, რა მეზობელი მყავს! — რევენი, სეპრე, ჩანჩალა!  
წყალს თავზე მასხამს უწყალოდ, აგრემც იმ წყალში დამხრჩვალა!  
მისი წყლით მოთხვრილ კედლებში მშრალი აღარა დამრჩა რა!

შეასმენ რამეს? არ იტენს აბრუს, სიავის ავტორი,  
თუნდ იმას ველაპარაკე, თუნდ პარკეტს, მისგან დატბორილს, —  
დუმს, ფიქრობს, თითქოს ჩემს ბინას სულაც არა მყავს პატრონი..

მე კი ზაფრით და კანკალით ჰჭერს, ჩამოდღაბნილს, შევექერი,  
ვაითუ, ზუსტად ანალ წელს, თავზე დამეჭვებს ეს ჰერი —  
იმ ქალის ნავექლარი, სწორედ იმ ქალის „ხელწერით“!



მავრამ მწამს ქალი, ის ქალი იქცევა ცეცხლად ბრიალად,  
და სახალწლოდ საჩემო ჰერს მოუშუშებს იარას!  
მეც ამ იმედით, წყლით სავსეს, ვსვამ სახალწლო ფილას!..

გიორგი შუთაყაური

- **თოვლის** კაცის სახალწლო ნატერა თოვლის ქალია.
- **ბაბუა** ყინვის განცხადებიდან: „ვყინავ ობიექტებს წლის ნებისმიერ დროს!“
- **ფიფი** ფიფქს ურჩევდა, თუ გადაწყვეტილი გაქვს, ვინმეს თავზე დაეცე, გიჯობს ჭკვიანი აარჩიო!
- **წლის** ბოლოს მშენებლებმა ჩააბარეს მთელი კომპლექსი... არასრულფასოვნებისა.
- **არაფერი** ისე არ გადადის რაოდენობრივიდან თვისობრივში, როგორც უზმოზე გადაყურწვა.
- **ჯერ** ბოთლში იჭვრიტებოდა, შემდეგ შიგ მიძვრებოდა.
- **ლოთს** თვალსაზრისიც კორიზონტალური აქვს.
- **წუეძებ** თავს გამოსაფხიზლებელში!
- **ღანით** მიიწევდა... ბოთლის ყელისაკენ.

თარგმნა მერაბ კასპელმა

ნახ. ი. ყინაშვილისა




უსიტყვოდ



არაფერს ვნატრობ, ოღონდაც ეს ნატვრა აგვიხდებოდეს: ეზოში შევალთ, ტალახში ფეხები არ გვეფლობოდეს, წვიმის დროს თავით და ფეხით ტლაპოში აღარ ვდგებოდეთ, სადარბაზოში შესვლისას ლიფტი წამს დაიძვრებოდეს, შიგ სისუფთავე გვენახოს, სული არ შეგვესუთებოდეს, სადარბაზოს წინ ნაგავი გროვებოდეს აღარ გვხვდებოდეს. ქალაქის ზოგი აბანო ხანდახან შეკეთდებოდეს, შიგ მუდამ ზიზღით კი არა, ხალისით შეგვესვლებოდეს, გათბობის ქირას ვინდიდეთ, თანაც ზამთარში ვთბებოდეთ, გაჭურვა აღარ ჩაგვეერთოს და აღარ ვიგუდებოდეთ, ახალ უბნებში ნერგები სულ მწვანედ იფოთლებოდეს და ეუბები, ხრიოკი, თანდათან იქორჩებოდეს, მზე არ გვწვავდეს და გვთანავადეს, ჩეროში იკოცნებოდეს, გზებზე რომ ასფალტს დაევაგებთ, ხელად არ იფოფრებოდეს, ლაფში ჩაფლული ტაქსისტი ბრაზით არ იბოღმებოდეს, ახალ ბინაში რომ შევალთ, გული სიამით ტკებოდეს, — რა კარგი ბინა მივიღე! — ჩვენი ხმა ზეცას სწვდებოდეს, შესვლისთანავე რემონტი უცებ არ დაგვიჩირებოდეს და საჩივრების წერაში გული არ გავგეწყალებოდეს, წყალი, დილას და საღამოს, უეცრად არა წყდებოდეს, მძლი თუ გასკდა, ვრეკავდეთ და უცებ შეკეთდებოდეს, „უქკის“ უფროსი ქაქანიო, ყვირილით აღარ გვხვდებოდეს, (ხელფასს რომ იღებს, ის თავის მოვალეობას ხვდებოდეს!), ამ ჩვენს ბინებში, სინათლევც, ხშირ-ხშირად აღარ ქრებოდეს და განათების მუშაკებს ბნელში არ ვემუქვებოდეთ, სატელეფონო კავშირით იღბალი ჩვენაც გვქონოდეს, რომ აბონენტთან, ხანდახან, ადვილად ირეკებოდეს, სოფელში ახალგაზრდობას არასდროს მოსწყინდებოდეს და კერას მამა-პაპისას არვინ არ მოსცილდებოდეს, ვარგოდეს კლუბი, გზა, ხიდი, წყალიც არასდროს გვკლებოდეს, ერთ მტკაველ მიწის ნაკვეთზე ძმა ძმას არ ედავებოდეს, სოფლის თავკაცსაც სუყველას წუხილი ედარდებოდეს, შვილი, ქალაქში წასული, მშობლებს არ ეკარგებოდეს, საცოლე ბიჭი დედ-მამის კალთას არ ეფარებოდეს, ისიც ოფლს ღვრიდეს, შრომობდეს და სოფელს ეხმარებოდეს, ავტობუსები სოფლებში უწყვეტლევ იარებოდეს, ტელევიზორის ეკრანზე ლაქები აღარ ჩნდებოდეს, რადიოც მუშაობდეს და მისი ხმა აღარ წყდებოდეს, სოფელელ კაცს კინო, კონცერტი არასდროს ენატრებოდეს, სოფლად ყოფნა და ცხოვრება ქალაქელს ენარბებოდეს, ყველგან წესრიგი, კულტურა გვექონდეს, არ გვესიზმრებოდეს, ეს ჩემი ნატვრაც ბევრის გულს სიამით ეფინებოდეს, ზოგს გულთან ახლოს მიედოს, დარდით არ ეძინებოდეს, რომ ნატვრა, მხოლოდ ნატვრად და ოცნებად აღარ რჩებოდეს!

პანო ტინცაქი



— უჭიქოდ კაბიკია ამის ფასი!..

# საფეხურთო სელაქიქი

თვილისის დინაოქალაქსა და  
ქუთაისის ტორაქლოქალაქს

ვედარ უქლავთ უგადლას  
საფეხურთო მარათონს!..  
ქარგად მარტო... დაფყვებილ  
ჩვენს ნარვებუ თამაშობთ!..

თუ არ გინდათ ფეხურთი,  
უეჯიგრი და ნაპარდი, —  
სეზონს ნულარ დაუცდით,  
ზამთარშივე გავარდით!

გულშემატკივარი


## ჰინ რა თქვა:

- **ქველავ** წელმა თქვა: წარსულს ვბარდები, დავიწყებას კი არაო.
- **გამოსწორაქულავ** ლოთმა თქვა: ძველ წელთან ერთად წარსულსაც ვემშვიდობებიო.
- **ახალავ** წელმა თქვა: გამიფრთხილდით, დღეები კი არ მემატება, არამედ მაკლდებაო!

ა. პანსოქალაქილი

## საფეხურთო ანაროქის ნაფყვები

... თამაში მიმდინარეობდა „კორუფციონის“ ფეხურთელთა აშკარა ფინანსური უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით 15000:0



უხიტყვოდ

ПОСТРОЕННЫЕ  
В СЕНТЯБРЕ



სატირიკო და იუმორისტის  
 ჟურნალი «ნიანგი» № 24  
 (1635) ლექსიერი. გამო-  
 დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
 ზაურ გოლგახია

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადიშვილი  
 (პასუხისმგებელი მდივანი),  
 კაბუა ამირეჯიბი, ნოზალი  
 ბარათაი, ზორის გურგუ-  
 ლია; რევაზ თვარაძე, ჭე-  
 მალ ლოლუა, ნოდარ მალა-  
 ზონია (მხატვარ-რედაქტო-  
 რი), ალექსანდრე სამსონია,  
 ბეჟან სიხარულიძე (მთავარი  
 რედაქტორის მოადგილე),  
 ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ  
 წივწივაძე, ნაფი ჭუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი  
 შინელი კუხალაშვილი

გადაცემა ასაწყობად 22. 11.  
 85 წ. ხელმოწერილია დასა-  
 ბეჭდად 16. 12. 85 წ. ქა-  
 ლალდის ზომა 60X90<sup>1</sup>/<sub>8</sub>  
 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-  
 ლი 1,25, საორიცივო-საგა-  
 მომცემლო თაბახი 1,9, სა-  
 ქართველოს კბ ცკ-ის გა-  
 მომცემლობა, ლენინის, 14.  
 შეკვეთა № 2780. უე 05650.  
 ტირაჟი 145.000. ჟურნალი  
 გამოდის თვეში ორჯერ.  
 რედაქციაში შემოსული მა-  
 სალები ავტორებს არ უბ-  
 რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.  
 თბილისი-8, რუსთაველის  
 პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი  
 რედაქტორის — 99-55-54,  
 მთ. რედ. მოადგილის —  
 93-19-42, პ/მგ მდივნის —  
 93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
 ტორის — 99-02-38, გან-  
 ყოფილებათა გამგეების —  
 93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
 მუშაკების — 99-02-38,  
 მდივან — მემანქანის —  
 99-76-69.

სატირიკო - იუმორისტиче-  
 ский журнал «НИАН-  
 ГИ» (На грузинском  
 языке) Тбилиси, пр. Ру-  
 ставели № 42. Изда-  
 тельство ЦК КП Грузии,  
 типография издательства  
 ЦК КП Грузии, Тбили-  
 си, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი.  
 იმდგესი 76137

